თეკლე შარვაძე

ბიზნეს ადმინისტრირების ქართულენოვანი
საბაკალავრო პროგრამა
კავკასიის ბიზნესის სკოლა
კაუნას კოლეჯი, ლიეტუვა

საზღვარგარეთ სწავლა ჩემი დიდი სურვილი იყო. სწორედ ამიტომ, Erasmus+ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული გამოცდილება აღმოჩნდა ჩემთვის. ამ პროგრამამ მომცა შესაძლებლობა ერთი სემესტრი გამეტარებინა ლიეტუვაში, სადაც არა მხოლოდ ახალი ცოდნა მივიღე, არამედ უამრავი მოგონება დავაგროვე.

პროგრამის განმავლობაში გავეცანი ახალი სწავლის მეთოდებსა და მიდგომებს, გავიცანი უამრავი საერთაშორისო სტუდენტი და გავიზიარე სხვადასხვა ქვეყნის კულტურა და ტრადიციები. ამ ყოველივემ კი გააფართოვა ჩემი მსოფლმხედველობა.

გარდა შეძენილი ცოდნისა, პროგრამამ საშუალება მომცა განვითარებულიყავი პიროვნულად. მარტო ცხოვრება უამრავ გამოწვევასთან და სირთულესთან არის დაკავშირებული. ეს გამოცდილება კი სწორედ ამ სირთულეების გადალახვაში გეხმარება. ხდები უფრო დამოუკიდებელი, პასუხისმგებლიანი და თავდაჯერებული. ეს თვისებები კი უნარებია, რომლებიც ცხოვრებაში ადამიანს სჭირდება ნებისმიერი მიზნის მისაღწევად.

კავკასიის უნივერსიტეტი ყველა სტუდენტს აძლევს შანსს მიიღოს მონაწილეობა გაცვლით პროგრამაში და თუ რომელიმე სტუდენტი უკვე ფიქრობს ამ შანსის გამოყენებაზე, შემიძლია თამამად ვუთხრა, რომ ეს არის არა მხოლოდ პროფესიული განვითარებისა და აკადემიური მიღწევების შანსი, არამედ ულევი ბედნიერი, შთაბეჭდილებებით, თავგადასვლებებითა და ემოციებით სავსე ერთი სემესტრი.